

შპს „ენერგო არაგვი“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
---------------------------------	-----

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია	8
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	18
4. ძირითადი საშუალებები	20
5. გაცემული სესხები	21
6. გადახდილი ავანსები	21
7. მარაგები	21
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
10. კაპიტალი	22
11. მიღებული სესხები	22
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
13. ამონაგები	23
14. რეალიზაციის თვითღირებულება	23
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	24
16. ფინანსური შემოსავალი	24
17. ფინანსური ხარჯი	24
18. ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	24
19. მოგების გადასახადი	25
20. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	25
21. ფინანსური რისკის მართვა	25
22. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	28
23. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	28
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ენერგო არაგვი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ენერგო არაგვის“ და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

12 იანვარი, 2024 წელი

თბილისი, საქართველო



Member of Nexia International

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.


მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

12 იანვარი, 2024 წელი

თბილისი, საქართველო



შპს „ენერგო არაგვი“ და მისი შვილობილი კომპანია
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	16,177,297	18,597,748
არამატერიალური აქტივები		2,904	3,285
გადახდილი ავანსები		122,246	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,302,447	18,601,033
მოკლევადიანი აქტივები			
გადახდილი ავანსები	6	84,448	129,920
საგადასახადო აქტივი, წმინდა		67,262	15,632
მარაგები	7	43,981	27,213
გაცემული სესხები	5	540,400	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	519,646	627,502
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,217,790	3,283,175
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,473,527	4,083,442
სულ აქტივები		18,775,974	22,684,475
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	80	2,110,080
გაუნაწილებელი მოგება		8,965,539	6,069,680
სულ კაპიტალი		8,965,619	8,179,760
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	8,393,272	12,554,396
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,393,272	12,554,396
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	51,480	310,331
გადასახდელი დივიდენდები		39,819	-
მიღებული სესხები	11	1,325,784	1,639,988
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,417,083	1,950,319
სულ ვალდებულებები		9,810,355	14,504,715
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		18,775,974	22,684,475

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 12 იანვარს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ტარას ნიჟარაძე
დირექტორი


რუსუდან ცინდელიანი
მთავარი ბუღალტერი

შპს „ენერგო არაგვი“ და მისი შვილობილი კომპანია
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	16,177,297	18,597,748
არამატერიალური აქტივები		2,904	3,285
გადახდილი ავანსები		122,246	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,302,447	18,601,033
მოკლევადიანი აქტივები			
გადახდილი ავანსები	6	84,448	129,920
საგადასახადო აქტივი, წმინდა		67,262	15,632
მარაგები	7	43,981	27,213
გაცემული სესხები	5	540,400	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	519,646	627,502
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,217,790	3,283,175
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,473,527	4,083,442
სულ აქტივები		18,775,974	22,684,475
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	80	2,110,080
გაუნაწილებელი მოგება		8,965,539	6,069,680
სულ კაპიტალი		8,965,619	8,179,760
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	8,393,272	12,554,396
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,393,272	12,554,396
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	51,480	310,331
გადასახდელი დივიდენდები		39,819	-
მიღებული სესხები	11	1,325,784	1,639,988
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,417,083	1,950,319
სულ ვალდებულებები		9,810,355	14,504,715
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		18,775,974	22,684,475

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 12 იანვარს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ტარას ნიჟარაძე
 დირექტორი



რუსუდან ცხინდელიანი
 მთავარი ბუღალტერი

8-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ენერგო არაგვი“ და მისი შვილობილი კომპანია

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	13	8,407,807	8,243,583
რეალიზაციის თვითღირებულება	14	(2,962,721)	(2,666,839)
საერთო მოგება		5,445,086	5,576,744
სხვა საოპერაციო შემოსავალი		19,998	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(1,276,527)	(831,888)
საოპერაციო მოგება		4,188,557	4,744,856
ფინანსური შემოსავალი	16	22,908	16,457
ფინანსური ხარჯი	17	(698,871)	(1,014,135)
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	18	1,868,898	2,116,096
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,849	12,607
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(67,409)	(32,627)
მოგება დაბეგვრამდე		5,315,932	5,843,254
მოგების გადასახადი	19	(239,377)	-
წლის წმინდა მოგება		5,076,555	5,843,254
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		5,076,555	5,843,254

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 12 იანვარს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ტარას ნიჟარაძე
დირექტორი


რუსუდან ცინდელიანი
მთავარი ბუღალტერი

შპს „ენერგო არაგვი“ და მისი შვილობილი კომპანია
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	13	8,407,807	8,243,583
რელიზაციის თვითღირებულება	14	(2,962,721)	(2,666,839)
საერთო მოგება		5,445,086	5,576,744
სხვა საოპერაციო შემოსავალი		19,998	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(1,276,527)	(831,888)
საოპერაციო მოგება		4,188,557	4,744,856
ფინანსური შემოსავალი	16	22,908	16,457
ფინანსური ხარჯი	17	(698,871)	(1,014,135)
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	18	1,868,898	2,116,096
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,849	12,607
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(67,409)	(32,627)
მოგება დაბეგვრამდე		5,315,932	5,843,254
მოგების გადასახადი	19	(239,377)	-
წლის წმინდა მოგება		5,076,555	5,843,254
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		5,076,555	5,843,254

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 12 იანვარს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ტარას ნიჟარაძე
 დირექტორი



რუსუდან ცინდელიანი
 მთავარი უფალტერი

შპს „ენერგო არაგვი“ და მისი შვილობილი კომპანია
 კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2020	4,429,012	226,426	4,655,438
წლის მთლიანი სრული მოგება	-	5,843,254	5,843,254
კაპიტალის შემცირება 10	(2,318,932)	-	(2,318,932)
31 დეკემბერი 2021	2,110,080	6,069,680	8,179,760
წლის მთლიანი სრული მოგება	-	5,076,555	5,076,555
კაპიტალის შემცირება	(2,110,000)	-	(2,110,000)
დივიდენდის გამოცხადება	-	(2,180,696)	(2,180,696)
31 დეკემბერი 2022	80	8,965,539	8,965,619

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 12 იანვარს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ტარას ნიჟარაძე
 დირექტორი


რუსუდან ცინდელიანი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ენერგო არაგვი“ და მისი შვილობილი კომპანია
 კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2020	4,429,012	226,426	4,655,438
წლის მთლიანი სრული მოგება	-	5,843,254	5,843,254
კაპიტალის შემცირება 10	(2,318,932)	-	(2,318,932)
31 დეკემბერი 2021	2,110,080	6,069,680	8,179,760
წლის მთლიანი სრული მოგება	-	5,076,555	5,076,555
კაპიტალის შემცირება	(2,110,000)	-	(2,110,000)
დივიდენდის გამოცხადება	-	(2,180,696)	(2,180,696)
31 დეკემბერი 2022	80	8,965,539	8,965,619

გამომგებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 12 იანვარს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ტარას ნიჟარაძე
 დირექტორი



რუსუდან ცინდელიანი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ენერგო არაგვი“ და მისი შვილობილი კომპანია
 კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

		2022	2021
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		5,315,932	5,843,254
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	4	2,479,414	2,233,563
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	4	1,248	-
ფინანსური ხარჯი	17	698,871	1,014,135
ფინანსური შემოსავალი	16	(22,907)	(16,457)
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	18	(1,868,898)	(2,116,096)
ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		6,603,660	6,958,399
კაპიტალში ცვლილებებამდე:			
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ზრდა მარაგებში	7	(16,768)	(4,498)
შემცირება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	8	30,598	(10,772)
(ზრდა)/შემცირება ძირ/საშ შესაძენად გადახდილ ავანსებში	6	(122,246)	-
(ზრდა)/შემცირება გადახდილ ავანსებში	6	45,472	(76,609)
(შემცირება)/ ზრდა სავაჭრო ვალდებულებებში	12	(234,064)	298,318
შემცირება საგადასახადო აქტივებში		(78,371)	287,119
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		6,228,281	7,451,957
გადახდილი სესხის პროცენტი		(698,871)	(978,746)
მიღებული პროცენტი		22,907	16,457
გადახდილი მოგების გადასახადი		(239,377)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		5,312,940	6,489,668
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(59,828)	(20,526)
გაცემული სესხები		(4,134,006)	-
გაცემული სესხების მიღება		3,654,827	-
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საინვესტიციო საქმიანობიდან		(539,007)	(20,526)
ფინანსური საქმიანობა			
მიღებული სესხის დაფარვა		(2,049,868)	(2,569,459)
კაპიტალის შემცირება	10	(2,110,000)	(2,318,932)
გადახდილი დივიდენდი	10	(2,112,810)	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(6,272,678)	(4,888,391)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა/შემცირება		(1,498,745)	1,580,751
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		(566,640)	(340,575)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში		3,283,175	2,042,999
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		1,217,790	3,283,175

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 12 იანვარს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ტარას ნიჟარაძე
 დირექტორი

რუსუდან ცინდელიანი
 მთავარი ბუღალტერი

8-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ენერგო არაგვი“ და მისი შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

		2022	2021
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		5,315,932	5,843,254
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	4	2,479,414	2,233,563
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	4	1,248	-
ფინანსური ხარჯი	17	698,871	1,014,135
ფინანსური შემოსავალი	16	(22,907)	(16,457)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	18	(1,868,898)	(2,116,096)
ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		6,603,660	6,958,399
კაპიტალში ცვლილებებამდე:			
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ზრდა მარაგებში	7	(16,768)	(4,498)
შემცირება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	8	30,598	(10,772)
(ზრდა)/შემცირება ძირ/საშ შესაძენად გადახდილ ავანსებში	6	(122,246)	-
(ზრდა)/შემცირება გადახდილ ავანსებში	6	45,472	(76,609)
(შემცირება)/ ზრდა სავაჭრო ვალდებულებებში	12	(234,064)	298,318
შემცირება საგადასახადო აქტივებში		(78,371)	287,119
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		6,228,281	7,451,957
გადახდილი სესხის პროცენტი		(698,871)	(978,746)
მიღებული პროცენტი		22,907	16,457
გადახდილი მოგების გადასახადი		(239,377)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		5,312,940	6,489,668
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(59,828)	(20,526)
გაცემული სესხები		(4,134,006)	-
გაცემული სესხების მიღება		3,654,827	-
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საინვესტიციო საქმიანობიდან		(539,007)	(20,526)
ფინანსური საქმიანობა			
მიღებული სესხის დაფარვა		(2,049,868)	(2,569,459)
კაპიტალის შემცირება	10	(2,110,000)	(2,318,932)
გადახდილი დივიდენდი	10	(2,112,810)	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(6,272,678)	(4,888,391)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა/შემცირება		(1,498,745)	1,580,751
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		(566,640)	(340,575)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში		3,283,175	2,042,999
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		1,217,790	3,283,175

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 12 იანვარს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ტარას ნიჟარაძე
დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

8-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. კორპორაციული ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ენერგო-არაგვი“ (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირებულია საქართველოში 2006 წლის 8 აგვისტოს. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 204515177, ხოლო რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ძველი თბილისის რაიონში: ლესელიძის ქ. 44/2 საქართველო, თბილისი.

კომპანია ფლობს შვილობილ საწარმოს (იხ.შენიშვნა მე-2) და ერთიანობაში მოხსენიებულია, როგორც „ჯგუფი“.

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ელექტროენერგიის წარმოება, დაგეგმვა და მიწოდება. ჰიდრავლიკური და ელექტრომომარაგების ობიექტების ორგანიზება, პროექტირება, მშენებლობა მონტაჟი, ექსპლუატაცია და ოპერირება.

ჯგუფი ძირითად საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე ეწევა. საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც მოიცავს ისეთი ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაცია ვერ ხდება სხვა ქვეყნების უმრავლესობაში და შედარებით მაღალია ინფლაცია.

კომპანიის კაპიტალის მფლობელობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-10 შენიშვნაში.

2022 და 2021 წლის განმავლობაში კომპანიის დირექტორები არიან: ტარას ნიჟარაძე და არჩილ ძნელაძე. ხოლო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა - ფრლიქს ვეხტერი, (ავსტრია).

ჯგუფის საბოლოო ბენეფიციარები არიან სს „ინდუსტრიულიგენშაფტენფერვალტუნგ“-ის (ავსტრია) აქციების წილის მფლობელი პირები - ალექსანდრა ვოსოული-ტურნაუერი, დარია-მარია არკო-ზინებერგი და კატარინა-მარია ტურნაუერი, თითოეული 33.33%-ებით.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

მომზადების საფუძვლები

ჯგუფმა მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არაა აღნიშნული მიმდინარე პოლიტიკით, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ამ განსჯის დროს ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა და მიზნები, მიმდინარე გეგმები, გაუნაწილებელი მოგების ოდენობა, საოპერაციო საქმიანობის მომგებიანობა, დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საშუალებას მისცემს ჯგუფს განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	3.8844	3.5040

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.9156	3.2209
1 ევრო/ლარი	3.0792	3.8140

2017 წლის 5 სექტემბერს კომპანიამ დააფუძნა შვილობილი კომპანია - შპს „ენერგო არაგვის ინჟინერია“ და განახორციელა 245,000 ლარის (100,000 აშშ დოლარი) ინვესტიცია.

2021 წლის 31 დეკემბერს შპს დამფუძნებელმა კომპანიამ შპს „ენერგო არაგვი ინჟინერია“-დან გაიტანა ინვესტიცია/კაპიტალი 40,600 ლარის ოდენობით. 2022 წელს ცვლილება ინვესტიცია/კაპიტალში არ მომხდარა

ა) კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელსაც ჯგუფი აკონტროლებს.

კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ცვლადი უკუგება ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან;
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გაგრძელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების გასამყარებლად, თუ ჯგუფს აქვს ხმის უფლების მქონე უმრავლესობაზე ნაკლები ან საინვესტიციო ობიექტის მსგავსი უფლებები, ჯგუფი ყველა შესაბამის ფაქტსა და გარემოებას ითვალისწინებს იმის შეფასებისათვის, აქვს თუ არა მას უფლება საინვესტიციო ობიექტზე, მათ შორის:

- საკონტრაქტო შეთანხმება საინვესტიციო ობიექტის ხმის უფლების სხვა მფლობელებთან;
- სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან წარმოქმნილი უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა საინვესტიციო ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ არსებობს კონტროლის სამი ელემენტიდან ერთი ან მეტის ცვლილება. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის შიგნით ყველა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადები, რომელიც უკავშირდება ჯგუფის წევრებს შორის ტრანსაქციებს სრულად უქმდება კონსოლიდაციის დროს.

შვილობილ კომპანიის კაპიტალში წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე, აღირიცხება როგორც კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაცია. თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არასაკონტროლო წილის და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, ჯგუფი სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, „ფასს 15“-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც ჯგუფი ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი შეფასება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია დამახასიათებელია ჯგუფისთვის. ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა.

იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად ჯგუფი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფს შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სესხის და ფინანსური გარანტიებისა, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, როდესაც მათ ფლობენ სავაჭროდ, ან დერივატივულ ინსტრუმენტებად, ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით აღნიშვნა.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ვალდებულების გასტუმრება, გაუქმება ან ვადის ამოწურვა.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება მოხდება ახლით, იგივე მსესხებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დაკორექტირდება საგრძნობლად, მსგავსი გადაცვლა ან კორექტირება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, სხვაობა შესაბამის მიმდინარე ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

2020 წლის 1 იანვარს ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ 69-76 მუხლებში, რომლებიც აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

- რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში;
- რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას;
- რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე.

ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მათი გამოყენება უნდა მოხდეს რეტროსპექტულად. ჯგუფი ამ ეტაპზე აფასებს ცვლილებების ეფექტს მის მიმდინარე პრაქტიკაზე და იმას, არსებული სესხები საჭიროებს თუ არა რესტრუქტურირებას.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება – ბასს 8-ის შესწორებები

2021 წლის თებერვალში ბასს-მა გამოუშვა ბასს 8-ის შესწორებები, რომლებშიც წარმოადგინა „სააღრიცხვო შეფასებების“ განმარტება. შესწორებები განმარტავს განსხვავებას სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებსა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებს შორის და შეცდომების გასწორებას. გარდა ამისა, იგი ასევე განმარტავს, როგორ იყენებენ საწარმოები შეფასების ხერხებს და ამოსავალ მონაცემებს სააღრიცხვო შეფასებების მისაღებად.

ცვლილებები ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და ვრცელდება სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებზე, რომლებიც დგება ამ პერიოდის საწყისი თარიღით ან მის შემდგომ. დაშვებულია ვადაზე ადრე გამოყენება, თუ ეს ფაქტი გაცხადდება. ცვლილებებს, სავარაუდოდ, არსებითი გავლენა არ ექნება ჯგუფზე.

სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები – შესწორებები ბასს 1-სა და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში

2021 წლის თებერვალში ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკული რეკომენდაცია „არსებითობის განსჯა“, რომლებიც შეიცავს მითითებებსა და მაგალითებს, რათა დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებების არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებით შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ბასს 1-ში შესული ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ვინაიდან ცვლილებები მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში შეიცავს არასავალდებულო მითითებებს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციაში ტერმინის „არსებითის“ განმარტების გამოყენების თაობაზე, მათი ძალაში შესვლის თარიღი არ არის საჭირო.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებზე. გარდა ამისა, ქვემოთ მოცემულია სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და რომლებსაც, სავარაუდოდ, ან არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფზე, ან ჯგუფი ჯერ კიდევ აფასებს მათი მიღების შედეგებს:

- ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში: კონცეპტუალური საფუძვლების მითითება;
- ცვლილებები ბასს (IAS) 12-ში: გადავადებული გადასახადი იჯარაზე და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები;
- ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე;
- ფასს (IFRS) 17: „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ყოველწლიური გაუმჯობესებების 2018-2020 წ.წ. ციკლი (გამოცემული 2020 წლის მაისში)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივი.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდილი თანხები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები.

თუ გაუფასურება მოხდა, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ იცვითება. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების

ვადა წლებში

შენობები	25
მილსადენი	12.5
მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები	5-10
საოფისე ინვენტარი და სხვა ძირითადი საშუალებები	2-10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც ჯგუფი მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს დიდი ალბათობა ჯგუფში ეკონომიკური სარგებლის მიღების და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, იმის მიუხედავად თუ როდის მოხდება თანხის მიღება. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით, კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის პირობების გათვალისწინებით, გადასახადების თუ ბაჟის გარეშე. ჯგუფმა დაადგინა, რომ ის არის პრინციპალი ყველა შემოსავლის

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ხელშეკრულებაში, რადგან ის არის მთავარი მოვალე, აქვს ფასის ცვლილების შესაძლებლობა და ასევე ექვემდებარება მარაგების და საკრედიტო რისკს.

ყოველ ხელშეკრულებაზე ჯგუფი ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან აღიარდება შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება, საანგარიშგებო პერიოდისთვის გაწეული ხელშეკრულების ხარჯების მთლიანი შეფასებული ხელშეკრულების ხარჯებთან შეფარდების პროპორციულად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან ანგარიშგების თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახადი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და კლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც ჯგუფი საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები, რომლებზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით.

თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. ჯგუფი აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ჯგუფი შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. „ფასს 9“ მოითხოვს ფინანსური გარკვეული ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას თუ არა, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამართლიანი შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

ვადა გადაიხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

4. ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა და სხვა ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მილსადენები	სულ
თვითღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბერი	90,303	16,938,859	10,259,000	317,904	-	5,282,000	32,888,066
შეძენა	-	-	5,000	12,263	3,263	-	20,526
გასვლა	-	-	(3,644)	(1,827)	-	-	(5,471)
ტრანსფერი	-	3,263	-	-	(3,263)	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	90,303	16,942,122	10,260,356	328,340	-	5,282,000	32,903,121
შეძენა	-	-	52,208	7,620	-	-	59,828
გასვლა	-	-	(1,248)	(801)	-	-	(2,049)
2022 წლის 31 დეკემბერი	90,303	16,942,122	10,311,316	335,159	-	5,282,000	32,960,900
ცვეთა და გაუფასურება							
2020 წლის 31 დეკემბერი	-	2,469,626	6,394,888	296,679	-	2,916,088	12,077,281
წლის ცვეთა	-	636,341	1,146,277	29,251	-	421,694	2,233,563
ცვეთის ელიმინაცია	-	-	(3,644)	(1,827)	-	-	(5,471)
2021 წლის 31 დეკემბერი	-	3,105,967	7,537,521	324,103	-	3,337,782	14,305,373
წლის ცვეთა	-	596,997	1,150,614	10,840	-	720,580	2,479,031
ცვეთის ელიმინაცია	-	-	-	(801)	-	-	(801)
2022 წლის 31 დეკემბერი	-	3,702,964	8,688,135	334,142	-	4,058,362	16,783,603
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2021 წლის 31 დეკემბერი	90,303	13,836,155	2,722,835	4,237	-	1,944,218	18,597,748
2022 წლის 31 დეკემბერი	90,303	13,239,158	1,623,181	1,017	-	1,223,638	16,177,297

არცერთი ძირითადი საშუალება არ არის გირაოთი დატვირთული. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენებაში არსებული სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება შეადგენდა 658,155 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი - 625,291).

5. გაცემული სესხები

მსესხებელი	სესხის გაცემის თარიღი	სესხის დახურვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალი"	13 ოქტომბერი 2022	13 აპრილი 2023	3.75%	აშშ დოლარი	540,400	-
სულ გაცემული სესხები, მათ შორის:					540,400	-
ძირი					540,400	-
პროცენტი					-	-
სულ გაცემული სესხები					540,400	-

6. გადახდილი ავანსები

ჯგუფის გადახდილი ავანსები, ძირითადად მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილ თანხებს მოიცავს. 2022 წლის 31 დეკემბერს, გადახდილი ავანსები შეადგენდა 206,694 ლარს, საიდანაც 84,448 ლარი არის მოკლევადიანი, ხოლო 122,246 ლარი გრძელვადიანი. (2021 წლის 31 დეკემბერს მოკლევადიანი: 129,920 ლარი, გრძელვადიანი: 0 ლარი).

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საწვავი	40,156	23,917
სხვა მარაგი	3,825	3,296
სულ მარაგები	43,981	27,213

ჯგუფის მარაგები ძირითადად შედგება საწვავისგან, რომელსაც ჯგუფი მოიხმარს მანქანა-დანადგარებში სამშენებლო მიზნებისთვის.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	519,343	627,399
სხვა მოთხოვნები	303	103
	519,646	627,502

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს ელექტროენერგიის გადაცემის შედეგად წარმოქმნილ მოთხოვნებს. ჯგუფს ორი ძირითადი კლიენტი ჰყავს: შპს „ენერგო პრო ჯორჯია“ და ESCO – „ელექტროენერგიის სისტემის კომერციული ოპერატორი“. 2022 და 2021 წლებში სავაჭრო მოთხოვნების რეზერვები არ შექმნილა, რადგან არცერთი მოთხოვნა არ იყო გაუფასურებული და ხანდაზმული.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	48,152	822,051
ფული ბანკში დოლარი	373,553	1,438,451
ფული ბანკში ევრო	796,085	1,022,673
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,217,790	3,283,175

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია, როგორც არასარიცხო.

10. კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2006 წლის 8 აგვისტოს წესდების მიხედვით განისაზღვრა 200 ლარად. 2011 წლის 28 ივნისს ჯგუფის კაპიტალი გაიზარდა 4,847,392 ლარით (2,930,000 აშშ დოლარი); 2011 წლის 11 ოქტომბერს კაპიტალი კიდევ გაიზარდა 3,804,890 ლარით (2,300,000 აშშ დოლარი). 2022 წელს გაცემული დივიდენდი წარმოადგენს 2,180,696. 2021 წლის განმავლობაში დივიდენდი არ გაცემულა, თუმცა კაპიტალი შემცირდა. კერძოდ, 2022 წელს ჯგუფის კაპიტალი შემცირდა 2,110,000 ლარით, ხოლო 2021 წელს კაპიტალი შემცირდა 2,318,932 ლარით.

საკუთარი კაპიტალი	წილი 2022 %	წილი 2021 %	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სს ინდუსტრიული ინვესტიციების ფონდის ვალუტა	30%	28%	22	590,822
ლევან ადამია	5%	5%	4	105,504
ალექსანდრე ადამია	5%	5%	4	105,504
შპს პოშ	12%	12%	10	253,210
შპს ჰანს ჰოლდინგი	22%	22%	17	464,217
ვერნერ პანჰაუზერი	10%	12%	10	253,210
ტარას ნიჟარაძე	12%	12%	10	253,210
ვახტანგ მიქელაძე	4%	4%	3	84,403
	100%	100%	80	2,110,080

11. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მსესხებელი	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
იოჰან მიოზენზახერი	08-22-2013	12-31-2021	4%	აშშ დოლარი	-	380,567
სს ილაგი	03-31-2017	03-31-2027	6%	ევრო	5,831,131	9,620,118
სს ილაგი	03-31-2017	12-31-2024	6%	ევრო	3,887,925	4,193,699
სულ					9,719,056	14,194,384
ძირი					9,719,056	14,189,546
პროცენტი						-
					9,719,056	14,194,384

შპს სს „ინდუსტრიული ინვესტიციების ფონდის ვალუტა“ (სს „ილაგი“) მიღებული პირველი სესხი, რომლის დაფარვის თარიღია 03/31/2027, წარმოადგენს 2017 წლის 31 მარტამდე შპს ინდუსტრიული ინვესტიციების ფონდის ვალუტაზე გაცემულ საპროცენტო ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილი გადასახდელი სესხების ჯამს. ჯგუფი ვალდებულია გადაიხადოს 280,000 ევრო ორჯერ წელიწადში, ხოლო ნებისმიერ დარჩენილი გადასახდელი თანხა 2027 წლის 31 მარტს.

მეორე და მესამე სესხი სს „ინდუსტრიული ინვესტიციების ფონდის ვალუტა“ აღებული იყო მცირე ელექტროსადგური „ენერგო არაგვი 2“-ის მშენებლობის დასაფინანსებლად, რომელიც 2019 წელს აშენდა.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	49,913	48,564
გადასახდელი ხელფასი	1,567	1,569
ვალდებულება დამფუძნებლის მიმართ*	-	260,198
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	51,480	310,331

* კრების ოქმის საფუძველზე დამფუძნებლის მიერ კაპიტალის შემცირებისთვის გადასახდელი თანხა.

13. ამონაგები

ამონაგები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	8,407,807	8,243,583
8,407,807	8,243,583	

ჯგუფის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს ელექტროენერგიის კლიენტებზე განაწილებით მიღებული შემოსავალი. ჯგუფის კონტრაგენტები არიან: შპს „ენერგო პრო ჯორჯია“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემების კომერციული ოპერატორი“- (ესკო).

14. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ცვეთა	2,479,412	2,233,563
ხელფასის ხარჯი	259,233	205,926
რეგულირების საფასური*	28,518	26,622
სხვა ხარჯი	195,558	200,728
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	2,962,721	2,666,839

* რეგულირების საფასური წარმოადგენს თანხას, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრული წესის შესაბამისად ყოველწლიურად იხდიან ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისტრიბუციის, იმპორტის, ექსპორტისა და განაწილების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების, ტრანსპორტირებისა და განაწილების ლიცენზიანტები სემეკ-ის საქმიანობასთან.

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
საკონსულტაციო ხარჯი	440,342	59,450
რემონტის და გაუმჯობესების ხარჯი	315,186	91,748
საგადასახადო ხარჯი	184,296	206,720
დაზღვევის ხარჯი	112,871	27,372
საქველმოქმედო ხარჯი	71,001	-
ხელფასი და თანამშრომლების სარგოები	45,311	366,574
საიჯარო ხარჯი	7,627	7,139
წარმომადგენლობის ხარჯი	-	961
სხვა ხარჯები	99,893	71,924
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,276,527	831,888

16. ფინანსური შემოსავალი

ჯგუფში დარიცხული შემოსავალი 2022 წელს შედგება სს ბაზის ბანკში განთავსებული მოკლევადიან ანაზღაურებულ დარიცხული პროცენტისაგან 9,228 ლარის ოდენობით (2021 წელი: 16,457 ლარი). გაცემული სესხიდან მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 13,680 ლარი (2021 წელი: 8,215 ლარი).

17. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შედგება ჯგუფის გრძელვადიანი სესხების საპროცენტო ხარჯისგან, რომელიც მიღებულია ჯგუფის მფლობელებისგან. 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 698,871 ლარი (2021 წლის 31 დეკემბერი: 1,014,135 ლარი).

18. ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა

წმინდა მოგება (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოგება	ზარალი	სხვაობა
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები	33,491	(600,131)	(566,640)
გადასახდელი დივიდენდები	1,326	-	1,326
გაცემული სესხები	78,392	(17,171)	61,221
სესხები	2,425,461	-	2,425,461
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24,839	(52)	24,787
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	(77,257)	(77,257)
წმინდა მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	2,563,509	(694,611)	1,868,898

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოგება	ზარალი	წმინდა
მიღებული სესხი	2,334,873	(6)	2,334,867
გაცემული სესხი	-	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	7,083	(347,658)	(340,575)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,087	-	18,087
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	103,717	-	103,717
წმინდა მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	2,463,760	(347,664)	2,116,096

19. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახადელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2018 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

2022 წელს ჯგუფმა გამოაცხადა დივიდენდი 2,180,696 ლარის ოდენობით. 2021 ჯგუფს მოგება (დივიდენდები) არ გაუნაწილებია.

20. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საგადასახადო კანონმდებლობა.

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს.

ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც ჯგუფი საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების აღრიცხვის დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები, რომლებზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და ჯგუფის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არსებობს შესაბამისი რეზერვი).

21. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკი მოიცავს **საბაზრო რისკს** (რომელშიც შედის: სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის და ფასების რისკი), **საკრედიტო რისკი** და **ლიკვიდობის რისკი**. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანა და მიზანია რისკის ლიმიტების დადგენა და უზრუნველყოფა რომ რისკების ზემოქმედება დარჩეს მოცემულ ლიმიტებში.

საკრედიტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური აქტივები:	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გაცემული სესხები	540,400	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	519,646	627,502
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,217,790	3,283,175
სულ ფინანსური აქტივები	2,277,836	3,910,677

ფინანსური ვალდებულებები:	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მიღებული სესხები	(9,719,056)	(14,194,384)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(51,480)	(310,331)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(9,770,536)	(14,504,715)

საბაზრო რისკი -ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი- სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების ჯგუფის დონეზე მართვით.

ჯგუფზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2022			
მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია	
აშშ დოლარი	1,280,741	(64)	1,280,677
ევრო	796,085	(9,719,056)	(8,922,971)
	2,076,826	(9,719,120)	(7,642,294)
31 დეკემბერი 2021			
მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია	
აშშ დოლარი	1,438,451	380,567	1,057,884
ევრო	1,022,673	13,813,816	(12,791,143)
	2,461,124	14,194,383	(11,733,259)
ზეგავლენა მოგება-ზარალზე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	128,068	105,788	
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	(128,068)	(105,788)	
ევროს 10 %-ით გამყარება	(892,297)	(1,279,114)	
ევროს 10 %-ით გაუფასურება	892,297	1,279,114	

ლიკვიდურობის რისკი - წარმოადგენს რისკს რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ჯგუფის ვალდებულებები 2022 და 2021 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

31 დეკემბერი 2022

ფინანსური აქტივები	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
გაცემული სესხები	540,400	-	-	540,400
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	519,646	-	-	519,646
ფული და ფულის ექვივალენტები	1,217,790	-	-	1,217,790
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	(1,325,784)	(8,393,272)	-	(9,719,056)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(51,480)	-	-	(51,480)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	900,572	(8,393,272)	-	(7,492,700)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2021

ფინანსური აქტივები	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	627,502	-	-	627,502
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,283,175	-	-	3,283,175
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	(1,639,988)	(12,554,396)	-	(14,194,384)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(310,331)	-	-	(310,331)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	1,960,358	(12,554,396)	-	(10,594,038)

22. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომლის მიღებაც შეუძლია ჯგუფს, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

ჯგუფის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2022		31 დეკემბერი 2021	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები:				
გაცემული სესხები	540,400	540,400	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	519,646	519,646	627,502	627,502
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,217,790	1,217,790	3,283,175	3,283,175
ფინანსური ვალდებულებები:				
მიღებული სესხები	(9,719,056)	(9,719,056)	14,194,384	14,194,384
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(51,480)	(51,480)	310,331	310,331

23. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული ჯგუფი (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს

წილი ჯგუფში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს ჯგუფზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც ჯგუფი წარმოადგენს საწარმოს;

გ) ჯგუფის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

23. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული ჯგუფი.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	ურთიერთობის სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შპს პოშ	კომპანიის მფლობელი	-	260,198

მიღებული სესხები	ურთიერთობის სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სს ილაგი	კომპანიის მფლობელი	9,719,056	13,813,816
იოჰან მიოზენბახერი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/წევრი	-	380,567

ფინანსური ხარჯი	ურთიერთობის სახე	2022	2021
სს ილაგი	კომპანიის მფლობელი	698,871	991,080
იოჰან მიოზენბახერი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/წევრი	-	23,054

გაცემული სესხები	ურთიერთობის სახე	2022	2021
სს მიკრო ბიზნეს კაპიტალი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	540,400	-

გადასახდელი დივიდენდი	ურთიერთობის სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სს ილაგი	კომპანიის მეწილე	27,873	-
პანჰაუზერი ვერნერ	კომპანიის მეწილე	11,946	-

მენეჯმენტის ანაზღაურება	2022	2021
ხელფასი და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	236,124	242,080

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2024 წლის 12 იანვარს.

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ჯგუფმა დივიდენდის სახით გასცა 4,165,800 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში არ გამოვლინდა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.